



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივა

კორპორატიული ხელშეკრულება № 114-A-00-05-00106-00

**შემზღვრავი კონსტრუქციის
თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირება
ბაზრდოლი ენერგოეფექტურობის დონით და
ენერგოეფექტურობის შემუშავება საავადმყოფოს
შენობისთვის ზუსტაფონში**



ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ არის აშშ-ს მთავრობის ოფიციალური ინფორმაცია და არ წარმოადგენს აშშ-ს მთავრობის ან აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოზიციას

**ენერგოაუდიტის ანგარიში
თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირება
გაზრდილი ენერგოეფექტურობის დონით და
ენერგოპასპორტის შემუშავება საავადმყოფოს
შენობისთვის ზესტაფონში**

მომზადებულია: USAID/კავკასიისთვის
საქართველო, თბილისი 0131
ჯორჯ ბალანჩინის ქ. 11

პროექტის ფარგლებში: თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და
განათების ინიციატივა (NATELI)

საქართველო, თბილისი 0105
ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხი
№4-8, ბინა 6/
ტელ.: +995 32 50 63 43
ფაქსი: +995 32 93 53 52

მომზადებულია მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრის მიერ ვინროკ
ინტერნეშენალისთვის

მარტი, 2011 წ.
თბილისი

სარჩევი

1	რეზიუმე.....	4
2	შესავალი.....	6
2.1	წინაპირობები.....	6
2.2	პროექტის განხორციელების პროცესი.....	7
3.	პროექტის ორგანიზება	9
4.	სტანდარტები და წესები.....	10
5.	შენობის თბოდაცვითი დონის პროექტირება ენერგოეფექტურობის პროგრამის გამოყენებით 10	
5.1	შენობის თბოდაცვითი დონის პროექტირება გაზრდილი ენერგოეფექტურობით.....	10
5.2	ენერგოეფექტურობის პროგრამაში გამოყენებული გაზრდილი თბოდაცვითი მანქანათმშენებლის პროექტირების მეთოდოლოგია.....	11
5.2.1	გარე კედლების თბოდაცვითი დონე	14
5.2.2	სახურავის თბოდაცვითი დონე.....	15
5.2.3	იატაკის თბოდაცვითი მანქანათმშენებლები.....	17
5.2.4	ფანჯრების თბოდაცვითი მანქანათმშენებლები	18
5.2.5	კარებების თბოდაცვითი მანქანათმშენებლები.....	19
6.	ენერგომოხმარება.....	19
6.1	ენერჯის საბაზო და ეფექტური მოხმარება რომელიც ეფუძნება საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილ თბოდაცვით დონეს.....	19
6.1.1	საბაზო და ენერგოეფექტური მოხმარება ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობისთვის.....	20
6.2	ენერგომოხმარების გამომწვევა ენერგოეფექტურობის შედეგებზე დაყრდნობით.....	21
7.	ენერგოეფექტურობის პოტენციალი.....	25
8.	რენტაბელურობის ანალიზი ენერგოეფექტურობაზე დაყრდნობით	26
8.1	შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი დონის ეკონომიკური გამომწვევები.....	26
8.2	ენერგოეფექტურობის რენტაბელურობასთან დაკავშირებული სხვა ენერგოეფექტური რეკომენდაციები.....	28
9.	ეკოლოგიური სარგებელი.....	29
	დანართი A	30
	დანართი B	40

1 რეზიუმე

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობით მიმდინარე “ვინროკ საქართველოს” პროექტის “ნათელი” მიზანია ენერგოეფექტურობის დონისძიებათა პოპულარიზაცია საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში. პროექტის ფარგლებში მოხდა “ირაო მედის” მხარდაჭერა მარნეულის, გარდაბანის და ჭიათურის საავადმყოფოების “ენერგოპასპორტების” შემუშავებაში, რომელთა რეკონსტრუქცია ხდება შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი ენერგოეფექტურობის დონით.

ზემოაღნიშნულმა სადაზღვევო კომპანიამ რვა სხვა სადაზღვევო კომპანიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში. სადაზღვევო კომპანიებმა აიღეს ვალდებულება უმოკლეს ვადებში საავადმყოფოების აშენების შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით.

მიმდინარე სამუშაო სრულდება სადაზღვევო კომპანია “ირაო მედისთვის” დახმარების უზრუნველყოფის ფარგლებში და მიზნად ისახავს მაღალი თბოდაცვითი მახასიათებლების მქონე საავადმყოფოს შენობის დაპროექტებას ზესტაფონში (25 საწოლიანი) და ენერგოპასპორტის შემუშავებას.

ზესტაფონის საავადმყოფოს შემზღუდავი კონსტრუქციის სტრუქტურული კომპონენტების თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტებისა და ენერგოსერტიფიცირების სისტემის გამოყენებით ენერგოპასპორტის მომზადების მიზნით “ვინროკ ინტერნეიშენალმა” ქვეკონტრაქტორად აიყვანა “მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრი”.






ინტეგრირებული პროექტირების მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევას, მოითხოვს შენობის სტრუქტურის და სხვა სისტემების გაზრდილი ენერგოეფექტურობის ინოვაციური კონცეპციის შემუშავებას, რომელიც უნდა განხორციელდეს არქიტექტორების, მშენებელი ინჟინრების, აგრეთვე თბოტექნიკოსი ინჟინრებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ გეგმარებისა და პროექტირების სტადიაზე.

შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტება ენერგოპასპორტიზაციის პროგრამის გამოყენებით, რომელიც მთელ შენობას სწავლობს, როგორც ერთ თბურ ერთეულს, საშუალებას აძლევს თბოინჟინრებს გამოიყენონ შენობის სტრუქტურის გაუმჯობესების მრავალი ვარიანტი, და შესაბამისად შეამცირონ გათბობის სისტემის დატვირთვა. “ენერგოპასპორტის” ელექტრონული მოდელით შესრულებული კალკულაციებითან ერთად მოცემულია შენობის ენერგოსერტიფიცირება.

ენერგოსერტიფიცირებას საფუძვლად უდევს რეიტინგული კრიტერიუმები, რომელიც ეფუძნება თბოდაცვითი მახასიათებლების საპროექტო კალკულაციას, რომლის შედეგია სითბური ბალანსის განტოლების კომპონენტებზე დაყრდნობით დამტკიცებული ენერჯის კუთრი მოხმარების დონეები.

ეს მოდელი საშუალებას აძლევს მომხმარებელს განსაზღვროს გათბობის სისტემის მთლიანი დატვირთვა ერთი წლის წლის განმავლობაში და აგრეთვე, (როგორც არაპირდაპირი შედეგი) მოახდინოს გავლენა შენობის მობინადრეთა მიერ ენერჯის მოხმარებაზე.

“ენერგოპასპორტის” ელექტრონული პროგრამის სერტიფიცირების ნაწილი მოცემულია გრაფიკში 1.1. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ზესტაფონის საავადმყოფოს თბოდაცვითი დონის დაპროექტების შედეგები

შენობათა ენერგოეფექტურობის ტიპები რანჟირება, (კჯ/მ ³ °Cდღე)	დადგენილი ტიპი (კჯ/მ ³ °Cდღე)
ახალი და რეკონსტრუირებული შენობები	
A  ძალიან მაღალი <20	
B  მაღალი 20-36	<= B 30.38
C  ნორმალური 37-42	
არსებული შენობებისთვის	
D  43-71	დაბალი
E  ძალიან დაბალი >71	

გრ. 1 ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით ზესტაფონის საავადმყოფოს შენობისთვის შესრულებული სერტიფიცირების შედეგები

შენობის შემზღუდავი კონსტრუქციების გაზრდილი თბოდაცვითი დონის პროექტირების შედეგად მიღებული ენერჯის დანაზოგის პოტენციალი

მოცემულია ცხრილში ქვემოთ მისი უკუგების პერიოდსა (PB) და წმინდა მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტთან (NPVQ):¹

ენერგოეფექტურობის პოტენციალი ზესტაფონისათვის					
		გასათბობი ფართობი:		1958.1	გ ²
ენერგოეფექტური ღონისძიება	ინვესტიცია [ლარი]	წმინდა დანაზოგი		უკუგების პერიოდი [წელი]	NPVQ *
		[კვტ.სთ/წ]	[ლარი/წ]		
შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი ღონე	55550	99774.2	6437	8.6	0.1

* 10.47 % რეალურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით

ეკონომიკურ გამოთვლებში გამოყენებული 10.47% - საპროცენტო განაკვეთი მიღებულია 14% -იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთიდან და 3.15 %-იანი ოფიციალური ინფლაციის განაკვეთიდან.²

2 შესავალი

2.1 წინაპირობები

ახალი შენობებისთვის ენერგოეფექტურობის სტრატეგია გულისხმობს შენობის სტრუქტურის გაზრდილ ენერგოეფექტურობას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას დაგეგმვისა და პროექტირების ეტაპებზე. შენობის ენერგომახასიათებლებზე ევროკავშირის დირექტივაში უკვე ასახულია შენობის კომპონენტების ენერგოეფექტურობის დონის მხედველობაში მიღების საკითხი და ეყრდნობა „გრადუს დღეების“ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს ახალი და არსებული შენობების ენერგო სერტიფიცირებას. გაზრდილი ენერგოეფექტურობით შენობის თბომახასიათებლების პროექტირება მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ხელს უწყობს ენერჯის მოხმარებისა და CO₂-ის გამოყოფის შემცირებას.

ყოფილი საბჭოთა სამშენებლო პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებული იყო ძველ საბჭოთა ნორმებზე მიზნად ისახავდა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაკმაყოფილებას შენობაში და უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფდა შენობის გარე კედლების შიდა ზედაპირის კონდენსირების თავიდან აცილებას. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, ყოფილი საბჭოთა კავშირის შენობების ინფრასტრუქტურა იმგვარად იყო პროექტირებული რომ იგი არ

¹ ეკონომიკური გამოთვლები შესრულებულ იქნა ENSI-ის პროგრამით.

² წლიური ინფლაციის განაკვეთი დამრგვალებულ იქნა 3.2% -მდე ENSI- ის ეკონომიკური პროგრამით.

ასახავდა არანაირ ენერგოეფექტურობის დონეს. შედეგად, მაღალი თბური დანაკარგების ასანაზღაურებლად ცენტრალური სისტემების მიერ ხდებოდა ზედმეტი ენერჯის მიწოდება.

ბოლოდროინდელი გლობალური ინიციატივები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შენობათა პროექტირებას, რომელიც ეფუძნება შენობის ენერგომახასიათებლებზე ევროკავშირის დირექტივას, სადაც ყურადღება გამახვილებულია შენობის ისეთ პროექტირებაზე, რომელიც მოიაზრებს ენერგოეფექტურობის პრინციპებს.

ახალი სამშენებლო ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ შენობათა შემზღუდავი კონსტრუქციის კომპონენტების გაზრდილ ენერგოეფექტურობას, უკვე მიღებულია ბევრ განვითარებულ და ყოფილი დსთ-ს ქვეყნებშიც.


შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი დონის გაუმჯობესებას შეიძლება ენერჯის მოხმარება 40–50%-ით შეამციროს; ეს შესაძლებელია ენერგოეფექტური მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, რაც ასახულია ინოვაციურ სამშენებლო ნორმებში და ითვალისწინებს კლიმატს და იმ აუცილებელ განსაზღვრულ ენერგომოხმარებას, რომელიც შენობის გასათბობადაა საჭირო ერთი გათბობის სეზონის განმავლობაში.

“ნათელის” პროექტის ფარგლებში გაზრდილი ენერგოეფექტურობის დონით შენობის შემომზღუდი კონსტრუქციის თბოდაცვითი დონის პროექტირების მიზნით შერჩეულ იქნა ზესტაფონის საავადმყოფოს შენობა. ამ ანგარიშში აღწერილი სამუშაო ასევე შეიცავს ენერგოპასპორტის შექმნას, რომელიც ამოწმებს სასერტიფიკაციო რეიტინგს ზესტაფონის საავადმყოფოს შენობისათვის.

დეტალური შეფასების შედეგები მოცემულია ანგარიშში.

2.2 პროექტის განხორციელების პროცესი

პროექტის განხორციელების პროცესი მოიცავს ზესტაფონის საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი დონის დაპროექტებასა და ენერგოპასპორტის მომზადებას “ენერგოპასპორტის” ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. პროექტის განხორციელების მთლიანი პროცესი შედგება 6 მთავარი საქმიანობისგან, როგორც წარმოდგენილია გრაფიკში ქვემოთ.



3. პროექტის ორგანიზება

პროექტის/შენობის/ობიექტის სახელწოდება:	ზესტაფონის საავადმყოფო
მისამართი:	მოსაშვილის ქ. 5, თბილისი
საკონტაქტო პირი:	დირექტორი – სანდრო გელენიძე
ტელეფონი:	877 280 280 (მობილური)
ფაქსი:	-
ელ.ფოსტა:	gelenidze@irao.ge
როლი პროექტში:	სარგებლის მიმღები, “ირაო-მედი” მიიღებს ზესტაფონში 25 საწოლიანი საავადმყოფოს შენობის თბოდაცვითი ღონის პროექტს, მის ტექნიკურ და ეკონომიკურ შეფასებას ენერგომოხმარების კუთხით და ენერგოპასპორტს საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის მინიჭებული კლასიფიკაციის სისტემით.
შენობის მფლობელი:	შპს-“ირაო-მედი”
საკონტაქტო პირი შენობის თბოდაცვითი ღონის დაპროექტებისა და “ენერგოპასპორტის” პროექტირების შესახებ	კარინა მელიქიძე
მისამართი:	თბილისი, ალ.ყაზბეგის ქ. №34, ნაკვეთი № 3, ოთახი 104
ტელეფონი:	(99532) 206773 (ოფისი)
ფაქსი:	(99532) 420060
ელ-ფოსტა:	kmelikidze@sdap.ge ; kmelikidze@hotmail.com
როლი პროექტში	მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის ცენტრი
კონსულტანტი:	თამარ გოგია
ტელეფონი:	893 14 62 54 (მობილური)
ექსპერტი:	კარინა მელიქიძე
ტელეფონი:	893 956 596 (მობილური)
როლი პროექტში:	პერლიტის პროცესის ინჟინერი

4. სტანდარტები და წესები

ქვემოთ განსაზღვრულია სტანდარტები და წესები, რომლებიც შეესაბამება ენერგოეფექტურობისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს:

- შენობების თბოდაცვა SNIP 23-02-2003
- შენობების თბოდაცვითი ღონის დაპროექტება SP 23-101-2004
- სამშენებლო თბოტექნიკა SNIP II-3-79* -1996
- IECC საერთაშორისო ენერჯის კონსერვაციის კოდექსი 2009
- EN ISO 13790 2004 –ის შენობების თბოდაცვა - გაანგარიშების ევროპული სტანდარტი გასათბობი ფართობისთვის საჭირო ენერგომოხმარების განსაზღვრის მიზნით.
- სამშენებლო მასალის ფასები საქართველოს ბაზარზე (2010 – 2 ბლოკი) შემუშავებული საქართველოს მშენებლობის შემფასებელთა გაერთიანების მიერ (საქართველო, თბილისი, ა. ჭავჭავაძის 5).

5. შენობის თბოდაცვითი ღონის პროექტირება ენერგოპასპორტის პროგრამის გამოყენებით

5.1 შენობის თბოდაცვითი ღონის პროექტირება გაზრდილი ენერგოეფექტურობით

შენობის დიზაინი, ასევე სამშენებლო მასალა, რომლისგანაც შედგება მისი შემზღუდავი კონსტრუქცია, გავლენას ახდენს მის მთლიან ენერჯის მოხმარებაზე. შენობის გეომეტრია ზემოქმედებს შემზღუდავი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის შეფარდებაზე მის მოცულობასთან, რაც განაპირობებს შენობაზე მზის რადიაციის და გარე ჰაერის შეფარდებით გავლენას. შედეგად ეს გავლენას ახდენს შენობასა და მის გარემოს შორის თბოცვლის დონეზე.

თბოდაცვითი მახასიათებლების გაუმჯობესების ახლებული მიდგომა იყენებს შენობის გეომეტრიის, ასევე მისი შემზღუდავი კონსტრუქციის მასალების შერჩევის ინტეგრირებულ მიდგომას.

ეს იძლევა შენობის ენერჯის კუთრი მოხმარების შემცირების უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც ეფუძნება შენობის, როგორც ერთიანი თბური ერთეულის წარმოდგენას. ასეთ შენობას გააჩნია განსაზღვრული “მოქნილობა” მისი ყველა სტრუქტურული კომპონენტის ოპტიმალური თერმული წინაღობის სიდიდის შესარჩევად გამსაზღვრული მოხმარების ღონის მიღწევის პროცესში.

ეს მიდგომა ეფუძნება ახალ სამშენებლო ნორმებს, რომელიც შეიცავს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი ღონის გაზრდის მოთხოვნას და ეფუძნება “გრადუს-დღეების” კონცეფციას.

პროექტის თბოდაცვითი ღონის შეფასება შესრულდა ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით, რაც მიზნათ ისახავდა შენობის ყველა კომპონენტების ოპტიმალურად გაზრდილი R-თერმული წინაღობის სიდიდის განსაზღვრას შპს “ირაო მედი-ს” მიერ მშენებარე საავადმყოფოების ტიპური

შენობისთვის ზესტაფონში. შეფასების საბოლოო მიზანი ამ შენობაში ნაკლები ენერჯის მოხმარების მიღწევაა.

ის კლიმატური მონაცემები, რომელიც იყო გამოყენებული "გათბობის გრადუს დღეების" (გგდ) გამოსაანგარიშებლად ენერგოპასპორტის ელექტრონულ პროგრამაში, აღებულია საქართველოს სამეცნიერო გამოყენებითი მონაცემების ცნობარიდან (ნაწილი 1). გგდ გამოთვლა მოხდა ზოგადი ფორმულის შესაბამისად:

$$\text{გგდ} = (t_{in} - t_{\text{heat.per}}) \times Z_{\text{heat.per}} \quad (1)$$

სადაც:

t_{in} - არის შიდა ტემპერატურა, °C;

$t_{\text{heat.per}}$ - საშუალო ტემპერატურა გათბობის პერიოდში;

$Z_{\text{heat.per}}$ - დღეების რაოდენობა გათბობის პერიოდში

ზესტაფონში განთავსებული საავადმყოფოს გგდ ჩვენი გამოთვლებით განსაზღვრულია როგორც:

$$\text{გგდ} = (21 - 2,8) \times 109 = 1766$$

5.2 ენერგოპასპორტის პროგრამაში გამოყენებული გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირების მეთოდოლოგია

ერთი გათბობის სეზონის განმავლობაში შენობის გათბობისათვის საჭირო ჰავაზე მორგებული ენერჯის კუთრი მოხმარების სიდიდე წარმოადგენს საკვანძო პირობას სათანადო ენერგოეფექტური ღონისძიებების განსაზღვრად. ენერჯის კუთრი მოხმარების პარამეტრი შემოთავაზებულია, როგორც სითბოს ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა გათბობის სეზონის განმავლობაში შენობის მთლიანი ფართობის კვადრატული მეტრის ან მოცულობის კუბური მეტრისათვის გრადუს დღეში, რომელიც იზომება $\text{კჯ}/(\text{მ}^2\text{Cდღე})$ ან $\text{კჯ}/(\text{მ}^3\text{Cდღე})$ - ში.

შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლები განისაზღვრება ერთი გრადუსი დღის განმავლობაში ენერჯის კუთრი მოხმარებით და ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ სამ პრინციპს:

- სტანდარტის შესაბამისი კუთრი თბური მოხმარების დონის დადგენა შესაფასებელი შენობის ტიპისთვის და გათბობის გრადუს - დღეების გაანგარიშება შესაფერისი კლიმატური პირობებისთვის. საქართველოსთვის სტანდარტის შესაბამისი თბოდაცვის დონე დადგინდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის და ახალი რუსული და ევროპული ენერგოეფექტურობის ნორმების მიხედვით;
- დამპროექტებელს უნდა გააჩნდეს თავისუფლება, რომ მიაღწიოს ოპტიმალურ თბოდაცვით დონეს, რომელიც ეფუძნება მთლიანი შენობის ენერგომოხმარების მოთხოვნას, მისი ცალკეული ელემენტებისთვის სხვადასხვა ვერსიების შერჩევით. სტანდარტის შესაბამისი თბოდაცვითი

დონის განსაზღვრა ხდება შემზღუდავი კონსტრუქციის ცალკეული ელემენტებისთვის შენობის მთლიანი ენერგომომხმარების მოთხოვნაზე დაყრნობით. კონკრეტული პროექტის მიხედვით განისაზღვრება შენობის კუთრი თბური მოხმარების სიდიდე გათბობის სეზონისთვის. ენერგოპასპორტი შესრულებულია იმისათვის, რომ შედარდეს პროექტის კუთრი თბური მოხმარების სიდიდე სტანდარტის შესაბამის დონესთან შესაბამისობის დამტკიცების მიზნით.

- ხდება შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის მთლიანი თერმული წინაღობა გაანგარიშება, შედეგების შედარება განსაზღვრულ დონესთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტში ცვლილებების შეტანა.

ენერგოეფექტური შენობების თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ოთხი მთავარი პრინციპი:

- შენობის გეომეტრიული ფორმის შერჩევა, რომელიც შეამცირებს თბოდანაკარგებს; საპროექტო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს შენობის გარე ზედაპირის ფართობის მოცულობასთან შეფარდების შემცირებას;
- ენერგიის მოთხოვნის შემცირება თბოდაცვითი დონის გაზრდით ჰაერის გამტარობის შემცირების ჩათვლით;
- ჰაერის სათანადო მიმოქცევის უზრუნველყოფა ორგანიზებული ჰაერის შეწოვის საშუალებით;
- შენობის გათბობისათვის საჭირო ენერგომომხმარების მოთხოვნის დაკმაყოფილება მაქსიმალური ეფექტურობით.

ურთიერთკავშირი გარე ტემპერატურას, მზის რადიაციას და შიდა ტემპერატურას შორის შენობის დონეზე განისაზღვრება მისი ორიენტაციით, ფორმით და შემზღუდავი კონსტრუქციის თბოფიზიკური მახასიათებლებით. გაზრდილი ენერგოეფექტურობით თბოდაცვითი დონის პროექტების შეფასება შპს “ირაო მედის” მიერ ზესტაფონში ასაშენებელში 25 საწოლიანი საავადმყოფოს შენობისათვის შესრულდა ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. შენობის პროექტი (გეომეტრიული ფორმა) მოკლედ აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 5.1.

მოცულობით-გეგმარებითი პარამეტრები	სიმბოლო	საზომი ერთეული	მნიშვნელობა
გასათბობი ფართის მთლიანი სტრუქტურული მოცულობა	V_h	მ ³	5808
შენობის მთლიანი ფართობი	A_l	მ ²	1958.1
პალატების მთლიანი გამოსაყენებელი ფართობი	A_h	მ ²	241
შენობის გასათბობი ნაწილის გარე კედლების მთლიანი ფართობი, მათ შორის:	A_e^{sum}	მ ²	2779.2
- კედლები, ფანჯრების ჩათვლით, აივნები, შესასვლელი კარებები, ვიტრაჟები	A_{w+F+ed}	მ ²	1435.4
- კედლები	A_w	მ ²	1062.2
- ფანჯრები და აივნის კარებები	A_F	მ ²	338.2
მათ შორის: ფანჯრები და აივნების კარებები კიბისა და ლიფტის უჯრედში	A_{FA}	მ ²	0
- ვიტრაჟები	A_F	მ ²	0
- ერკერები	A_F	მ ²	0
- შესასვლელი კარები და ალაყაფის კარები	A_{ed}	მ ²	35.0
-სახურავები (გაერთიანებული)	A_w	მ ²	648.6
-სხვენის ჭერი (სხვენი არ თბება)	A_c	მ ²	0
-სხვენის ჭერი (გათბობით)	A_c	მ ²	0
- ჭერი ტექნიკურ სარდაფებში	A_f	მ ²	0
-სარდაფებისა და სათავსოების ჭერი, რომელიც არ თბება	A_f	მ ²	0
- გასასვლელებისა და ერკერების ჭერი	A_f	მ ²	0
-გრუნტზე განლაგებული იატაკი - სულ	A_f		695.2
ფანჯრებისა და აივნების კარებების ფართობის თანაფარდობა კედლების ფართობთან ფანჯრებისა და აივნების კარებების ჩათვლით: A_f/A_{w+F+ed}	ρ	--	0.24
შენობის კომპაქტურობა A_e^{sum}/V_h	k_e^{des}		0.48

შენობის გეომეტრიული ფორმა წინასწარ შეფასდა ზემოთ აღწერილი “ოთხი ძირითადი პრინციპის” შესაბამისად. როგორც მოცულობით-გეგმარებითი პარამეტრების ცხრილიდან ჩანს, შენობის კომპაქტურობის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$k_e^{des} = A_e^{sum}/V_h = 2790.4/5808 = 0.48$$

განსაზღვრული სიდიდე აღემატება შენობის კომპაქტურობის მოთხოვნების დადგენილ დონეს, რომელიც აღგენს, რომ ეს რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს $k_e^{des}=0.43$.

შენობის შემზღვეველი კონსტრუქციის პარამეტრების ინსპექტირებისას უპირატესობა მიენიჭა დაბალი თბოგამტარობის კოეფიციენტის მქონე მასალას – λ ვ/მ°C. თბოგამტარობის კოეფიციენტი არის სამშენებლო მასალის სითბური კონტროლის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი შენობიდან სითბოს გადინების წინააღმდეგობის თვალსაზრისით.

5.2.1 გარე კედლების თბოდაცვითი დონე

პერლიტის ბლოკის თბოგამტარობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება $\lambda= 0.148$ ვ/მ°C იყო შემოთავაზებული გარე კედლებისთვის ოპტიმალური თბოდაცვითი დონის უზრუნველყოფის მიზნით. ეს კოეფიციენტი პერლიტის ბლოკისთვის იყო მოწოდებული სამთო მომპოვებელი კომპანიამ შპს “ფარავან პერლიტის” მიერ, რომელიც საქართველოს ბაზარზე პერლიტის ბლოკის მთავარი მწარმოებელია. პერლიტის ბლოკთან დაკავშირებულ გაანგარიშებების თაობაზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილ 5.2-ში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია ზესტაფონში განლაგებული საავადმყოფოს ტიპური შენობისათვის, რომელიც შეიცავს პერლიტის ბლოკებით ნაშენები გარე კედლების გაანგარიშებას და ითვალისწინებს შენობის ორიენტაციას ქვეყნის მხარეების შესაბამისად.

ცხრილი 5.2

გარე კედლების მთლიანი ფართობი		1062.2		მ ²	U -თბოგადაცემის კოეფიციენტი (საშუალო)		0.676	ვ/მ°C
ორიენტაცია	ჩ	ჩ-ა	ა	ს-ა	ს	ს-დ	დ	ჩ-დ
კედლის ფართობი მ ²	264.46		243.86		318.26		235.67	
მასალის ტიპი	პერლიტის ბლოკები		პერლიტის ბლოკები		პერლიტის ბლოკები		პერლიტი ს ბლოკები	
ბლოკების ზომა, სმ	40x19x19		40x19x19		40x19x19		40x19x19	
იზოლაციის ტიპი	-		-		-		-	

<p>თბოტექნიკური გაანგარიშებით მიღებული კედლების თერმული წინაღობის კოეფიციენტი R გაზრდილი ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით</p>	<p>პერლიტის ბლოკებით ახლად აშენებული კედლების მთლიანი თერმული წინაღობის კოეფიციენტის გამოთვლის დროს მხედველობაში იყო მიღებული შიდა და გარე ბათქაშის შრეები, თითოეული სისქით: $\sigma=0.02$მ. ჩვენ გამოთვლებში, გარე და შიდა ბათქაშის ფენებისთვის გათვალისწინებული იყო: გარე ბათქაშის ფენისათვის – ცემენტისა და ქვიშის ნალესი სისქით: $\delta=0.02$ მ, $\lambda=0.93$ ვ/მ K; შიდა ბათქაშის ნალესი – კომპლექსური ნარევი, რომელიც შედგება ცემენტის, ქვიშისა და კირისგან სისქით: $\delta=0.02$მ, $\lambda=0.87$ ვ/მ K. გარე კედლებში თბური ხიდეების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდირებულია შეერთების ადგილებში პერლიტისა და ცემენტის სხნარით მოგლუვება სისქით: $\delta=0.003$მ.</p> <p>კედლების მთლიანი თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა შემდეგნაირად: $R_0 = R_{in} + R_c + R_{out} = 1/8.7 + 0.02/0.87 + 0.19/0.148 + 0.02/0.93 + 1/23 = 1.48 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C/ვ}$ შესაბამისად, თბოგადაცემის მიხედვითი კოეფიციენტი შეადგენს: $U = 1/1.48 = 0.676 \text{ ვ/მ}^2\text{ } ^\circ\text{C}$</p>		
<p>ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით განსაზღვრული R - თერმული წინაღობის კოეფიციენტი</p>	<p>1.48</p>	<p>$\text{მ}^2 \text{ } ^\circ\text{C/ვ}$</p>	

5.2.2 სახურავის თბოდაცვითი დონე

ზესტაფონის საავადმყოფოს შენობის სახურავის საერთო ფართობია $F=648.6 \text{ მ}^2$ და შედგება რამდენიმე განსხვავებული ნაწილისაგან

- ფილა, რომელიც ფარავს ტექნიკურ სართულს 12.10სმ-ის სიმაღლეზე ფართობით $F=153.76 \text{ მ}^2$,
- ფილა, რომელიც მოთავსებულია ტერასის ქვეშ 9.60მ სიმაღლეზე, საერთო ფართობით $F=280.7 \text{ მ}^2$;
- ფილა, რომელიც მოთავსებულია ტერასის ქვეშ 6.30მ სიმაღლეზე, საერთო ფართობით $F=160.36 \text{ მ}^2$;
- ფილა, რომელიც მოთავსებულია ტერასის ქვეშ 6.95მ სიმაღლეზე, საერთო ფართობით $F=53.78 \text{ მ}^2$.

სახურავის თბოდაცვითი დონის პროექტირება მიზნად ისახავს მისი ყველა ნაწილის იზოლაციას და განსაზღვრულია ტექნიკური სართულის თავზე განლაგებული ფილისათვის, ასევე იმ ფილებისათვის, რომელიც ტერასების ქვეშ არის განლაგებული. წინასწარი შეფასება შესრულდა ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით. განისაზღვრა, რომ სახურავის თბოტექნიკური მახასიათებლები უნდა იყოს დაახლოებით $R_0=2.62 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C/ვ}$ რათა დააკმაყოფილოს საავადმყოფოს შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი დონის საპროექტო მოთხოვნები. ქვემოთ 5.4 ცხრილში მოცემულია გაანგარიშების შედეგები, რომელიც მოიცავს იზოლაციის განსაზღვრულ დონეს სახურავის ყველა ნაწილისათვის, საიზოლაციო მასალის ტიპის, ასევე სისქის გათვალისწინებით.

ცხრილი 5.3

სახურავი (ტექნიკური სართულის თავზე და დაპროექტებული ტერასების ქვეშ)					
სახურავის პროექტის ზოგადი შეფასება		რკინაბეტონის ფილა			
სახურავის მთლიანი ფართობი	648.6	შ	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი (საშუალო)	0.35	ვ/მ ² °C
სახურავის ტიპი	მასალის ტიპი მ1	იზოლაციის ტიპი მ2	მასალის ტიპი მ3	ფილის სისქე მ	
სახურავი უშუალოდ გასათბობი ფართის თავზე	ა/რკინაბეტონის ფილა $\sigma_1=0.16$ მ, $\lambda=2.04$ ვ/მ ² °C; ბ/რკინაბეტონის ფენა $\sigma_2=0.05\pm 0.15$ მ $\lambda=0.7$ ვ/მ ² °C	მინაბამბის საფარი ფოლგაზე $\sigma=0.10$ მ $\lambda=0.04$ ვ/მ ² °C	ქვიშაცემენტის მოჭიმვა $\sigma = 0.03$ მ $\lambda=0.93$ ვ/მ ² °C	დამრეცი სახურავი $\sigma = 0.34$ 0.44მ	
თბოდაცვითი დონის დაპროექტება გაზრდილი ენერგოეფექტურობის კოეფიციენტით ტექნიკური სართულის თავზე და ტერასის ქვეშ მდებარე ფილისთვის	<p>შენობის თბოდაცვითი დონის გაუმჯობესების მიზნით, როგორც ეს ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შესრულებული გათვლების შესაბამისად დადგინდა, აუცილებელია ტექნიკური სართულის თავზე და აგრეთვე ტერასის ქვეშ განლაგებული ყველა ფილის თბოიზოლაცია. სახურავის ფილები განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლეზე. დადგინდა, რომ სახურავის თბოტექნიკური მახასიათებლები უნდა შეადგენდეს დაახლოებით $R_0=2.62$ მ² °C/ვ რათა აკმაყოფილებდეს საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის პროექტს გაზრდილი ენერგოეფექტურობის კოეფიციენტით.</p> <p>სახურავი დაპროექტებულია დამრეცი ფორმით. მოხდა მისი კონსტრუქციის შრეების განსაზღვრა და შერჩევა, როგორც ეს მოცემულია ქვევით ზევით მიმართულებით დაწვებული რკინაბეტონით ფილიდან ბოლომდე:</p> <ul style="list-style-type: none"> - რკინაბეტონის ფენაზე განლაგებულია განსხვავებული სისქის კიდევ ერთი ბეტონის ფენა: $\sigma=0.05\pm 0.15$ მ, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს დამრეცი სახურავის მოთხოვნილებები; - წყალგაუმტარი ფენა; - მინაბამბის ფენა - $\sigma = 0.10$მ, $\lambda=0.04$ ვ/მ²°C; - წყალგაუმტარი ფენა; - ქვიშაცემენტის საფარი - $\sigma = 0.03$მ $\lambda=0.93$ ვ/მ²°C; - წყალგაუმტარი ფენა 				
R-თერმული წინაღობის კოეფიციენტის თბოტექნიკური გაანგარიშება სახურავისთვის	<p>სახურავის კონსტრუქციის თერმული წინაღობის კოეფიციენტის R_0 განსაზღვრის მიზნით შესრულებული თბოტექნიკური გამოთვლები არ ითვალისწინებენ წყალგაუმტარ ფენებს, ამდენად ისინი პროექტში შეტანილია მხოლოდ სახურავის დატენიანებისგან დაცვის მიზნით. მთლიანი თერმულ წინაღობის კოეფიციენტი სახურავის ყველა ნაწილისთვის განისაზღვრა როგორც:</p> $R_0 = 1/ 8.7 + 0.16/2.04 + 0.05/ 0.7+0.1/0.04 + 0.03/0.93 + 1/23= 2.83 \text{ მ}^2\text{°C} /\text{ვ}$ <p>თბოგადაცემის კოეფიციენტი შეადგენს: $U = 1/2.83= 0.35$ ვ/მ²°C</p>				
ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შერჩეული R- თერმული წინაღობის კოეფიციენტი	2.83	მ ² °C/ვ			

5.2.3 იატაკის თბოდაცვითი მახასიათებლები

ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შესრულებული გამოთვლებით განსაზღვრული იყო თერმული წინაღობის საპროექტო დონე იატაკისთვის: $R=3.81 \text{ მ}^2\text{C/ვ}$. ამდენად, აუცილებელია იატაკის თერმული წინაღობის კოეფიციენტის გაზრდა $R=3.33 \text{ მ}^2\text{C/ვ}$ დან ოპტიმალურ დონემდე $R=3.81 \text{ მ}^2\text{C/ვ-მდე}$. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 5.4 წარმოდგენილია თბოსაინჟინრო გამოთვლები, რომელიც ასახავს პირველი სართულისათვის შერჩეულ დამატებითი საიზოლაციო ფენებს.

ცხრილი 5.4

იატაკი					
იატაკის პროექტის ზოგადი შეფასება			რკინაბეტონის ფილა		
იატაკის ფართობი	მთლიანი	695.2	მ ²	U- თბოგადაცემის კოეფიციენტი(საშუალო)	0.26 ვ/მ ² С
იატაკის ტიპი	სარდაფის იატაკის ფილა და სარდაფის კედლების მიწისქვეშა ნაწილი				
იატაკის მასალა	სამშენებლო	სარდაფის იატაკის რკინაბეტონის ფილა სისქით $\sigma=0.16 \text{ მ}$; $\lambda=2.04 \text{ ვ/მ}^2\text{C}$; სარდაფის კედლების მიწისქვეშა ნაწილი, სისქით: $\sigma=0.40 \text{ მ}$;			
თბოდაცვითი დონის დაპროექტება გაზრდილი ენერგოეფექტურობის კოეფიციენტით გრუნტზე განლაგებული იატაკისათვის	თერმული წინაღობის კოეფიციენტი სარდაფის იატაკისთვის, რომელიც წარმოდგენილია რკინაბეტონის ფილით, გამოანგარიშებულ იყო სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც გულისხმობს სტანდარტიზირებულ თერმული წინაღობის კოეფიციენტებს სარდაფის კედლების მიწისქვეშა ნაწილის და სარდაფის იატაკის სხვადასხვა ორმეტრიანი ზონებისათვის. ის განისაზღვრა როგორც $R_f=3.33 \text{ მ}^2\text{C/ვ}$ და იყო მიღებული გადაწყვეტილება წინაღობის კოეფიციენტის $R_f=3.81 \text{ მ}^2\text{C/ვ}$ - მდე გაზრდის აუცილებლობის შესახებ.				
R-თერმული წინაღობის კოეფიციენტის თბოტექნიკური გაანგარიშება იატაკისთვის	საავადმყოფოს შენობის იატაკის კონსტრუქციის საიზოლაციოდ შერჩეული იყო შემდეგი სამშენებლო მასალა დაწყებული რკინაბეტონის ფილით (ქვემოდან-ზემოთ) $\sigma=0.16 \text{ მ}$; $\lambda=2.04 \text{ ვ/მ}^2\text{C}$ გრად; წყალგაუმტარი ფენა; ქვიშაცემენტის მოჭიმვა: $\sigma=0.02 \text{ მ}$; $\lambda=0.93 \text{ ვ/მ}^2\text{C}$ შლაკის და პემზის ფენა ან კერამზიტის შემავსებელი: $\sigma=0.08 \text{ მ}$; $\lambda=0.19 \text{ ვ/მ}^2\text{C}$; ქვიშაცემენტის მოჭიმვა: $\sigma=0.02 \text{ მ}$; $\lambda=0.93 \text{ ვ/მ}^2\text{C}$ ბითუმის მასტიკა: $\sigma=0.003 \text{ მ}$; $\lambda=0.17 \text{ ვ/მ}^2\text{C}$ საიზოლაციო ფენების მთლიანი სისქე არ უნდა აღემატებოდეს: $\sigma=0.08 \text{ მ}$ $R=3.33+0.003/0.17+0.02/0.93+0.08/0.19+0.02/0.93=3.81 \text{ მ}^2\text{C/ვ}$ თბოგადაცემის კოეფიციენტი შეადგენს: $U=1/3.81=0.26 \text{ ვ/მ}^2\text{C}$				
ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შერჩეული R-თერმული წინაღობის კოეფიციენტი	3.81		$\text{მ}^2\text{C/ვ}$		

5.2.4 ფანჯრების თბოდაცვითი მახასიათებლები

ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობისათვის შერჩეული იყო მეტალოპლასტმასის ფანჯრები ორმაგი შემინვით. ცხრილში 5.5 მოცემულია ამ ფანჯრების ზოგადი აღწერილობა ზესტაფონისთვის და მათი ორიენტაცია გეოგრაფიული მხარეების მიმართ:

ცხრილი 5.5

ფანჯრების მდგომარეობის ზოგადი შეფასება					-		
ფანჯრების აღწერა					ტიპური საავადმყოფოს შენობისათვის იყო შერჩეული მეტალოპლასტმასის ფანჯრები ორმაგი შემინვით		
ორიენტაცია	მასალა ¹	სახეობა ²	ზომა A x B	ფართობი	რაოდენობა	სულ	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი
			<i>მ</i>	<i>შ</i>	<i>ცალი</i>		<i>კ/მ²°C</i>
ჩ-ა	მეტალო- პლასტმასა	2G	1.7x9.47 1.7 x1.7 1.7x 5.0 1.7x 6.0 0.6x 5.6 1.6x0.5	16.1 2.9 8.5 10.2 3.4 0.8	2 2 2 1 2 1	32.2 5.8 17.0 10.2 6.8 0.8	2.86
						Σ= 72.8	
ს-დ	მეტალო- პლასტმასა	2G	1.7x15.8 1.7x1.7 2.2x1.32 1.7x11.60 1.7x12.4 1.7x 5.6	26.9 2.9 2.9 19.7 21.1 9.5	2 2 3 1 1 1	53.8 5.8 8.7 19.7 21.1 9.5	2.86
						Σ= 118.6	
ს-ა	მეტალო- პლასტმასა	2G	5.6 x 2.7 5.2 x1.7 5.6 x 1.7 11.2 x1.7 5.6 x0.6	15.1 8.8 9.5 19.0 3.4	1 2 2 1 2	15.1 17.6 19.0 19.0 6.8	2,86
						Σ= 77.5	
ჩ-დ	მეტალო- პლასტმასა	2G	5.2 x1.7 11.2 x 1.7 15.8 x1.7 1.7 x1.7	8.8 19.0 26.9 2.9	2 1 1 2	17.6 19.0 26.9 5.8	2.86
						Σ= 69.3	
სულ				338.2			
მასალა ²	ხე (W), ალუმინი (Al), პლასტმასა (P), ფოლადი (St)						
სახეობა ⁵	ერთმაგი ჩარჩო (S), ორმაგი ჩარჩო (D), დაპრესილი მასალის ჩარჩო (B), ერთმაგი შემინვა (1G), ორმაგი შემინვა (2G), სამმაგი შემინვა (3G)						
R- თერმული წინააღობის კოეფიციენტი	0.35	<i>შ²°C / გ</i>					

5.2.5 კარებების თბოდაცვითი მახასიათებლები

არქიტექტორისა და დამპროექტებლის მიერ ზესტაფონის საავადმყოფოს შენობებისთვის შერჩეული ორმაგი შეშინვის გარე კარებების აღწერა მათი გეოგრაფიული მხარეების მიმართ ორიენტაციის შესაბამისად მოცემულია ცხრილში 5.6.

ცხრილი 5.6

კარებების მდგომარეობის ზოგადი შეფასება				-			
კარებების აღწერა				შენობაში იქნება დაყენებული მეტალოპლასტმასის კარებები ორმაგი შეშინვით.			
კარებების მთლიანი ფართობი				35.0	შ		
ორიენტაცია	მასალა ²	სახეობა ⁵	ზომა AxB	ფართობი	რაოდენ ობა	სულ	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი
			<i>მ</i>	<i>შ</i>	<i>ცალი</i>		<i>ვ/შ°C</i>
ჩ-ა	მეტალო პლასტმასა	2G	2.2x1.60	3.5	2	7.0	2.86
ს-დ	მეტალო პლასტმასა	2G	2.2x1.60	3.5	2	7.0	2.86
ს-ა	მეტალო პლასტმასა	2G	2.2x1.60	3.5	3	10.5	2.86
ჩ-დ	მეტალო პლასტმასა	2G	2.2x1.60	3.5	3	10.5	2.86
მასალა ²	ხე (W), ალუმინი (Al), პლასტმასა (P), ფოლადი (St)						
სახეობა ⁵	ერთმაგი ჩარჩო (S), ორმაგი ჩარჩო (D), დაპრესილი მასალის ჩარჩო (B), ერთმაგი შეშინვა (1G), ორმაგი შეშინვა (2G), სამმაგი შეშინვა (3G)						
R- თერმული წინააღობის კოეფიციენტი	0.35	<i>შ°C/ვ</i>					

6. ენერგომოხმარება

6.1 ენერჯის საბაზო და ეფექტური მოხმარება რომელიც ეფუძნება საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილ თბოდაცვით დონეს

ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით გამოანგარიშებული იყო ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობის გათბობის სისტემის დატვირთვა ერთი წლის განმავლობაში. თითოეული საავადმყოფოს შენობისათვის შემუშავდა ენერგოპასპორტის საკუთარი ვერსია ენერჯის მოხმარების შედეგების შესადარებლად. პირველი ვერსიის ფარგლებში განიხილება ზოგადი მიდგომა, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოში – ე.ი. ჩვეულებრივი

სამშენებლო პრაქტიკა – მძიმე ბეტონის ბლოკების გამოყენება ახალი შენობების ასაშენებლად, ზომით 400x200x200 მმ. ჩვეულებრივი სამშენებლო პრაქტიკა აგრძელებს ენერგოეფექტურობის მოთხოვნების უგულვებელყოფას შემზღუდავი კონსტრუქციის კომპონენტების მიმართ, რომლებიც წამყვანი თბოტექნიკური ნორმებით არის განსაზღვრული (გარდა ორმაგი შემინვის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრისა). მეტიც, ხშირად საბჭოთა სამშენებლო-თბოტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებიც კი ირღვევა. ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით გამოთვლილი პირველი ვერსიისთვის ავიღეთ გათბობის სისტემის დატვირთვა რომელიც ითვალისწინებს მძიმე ბეტონის ბლოკების გამოყენებას როგორც საბაზო დონეს.


6.1.1 საბაზო და ენერგოეფექტური მოხმარება ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობისთვის

პირველ ვერსიაში მძიმე ბეტონის ბლოკებით ნაშენი გარე კედლების R თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა როგორც: $R_{\text{კედლები}} = 0.479 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$. ეს მნიშვნელობა იყო მიღებული თერმული წინაღობის სავალდებულო კოეფიციენტიდან $R_{\text{საჭირო კედლები}}$ რომელიც მითითებულია ძველ საბჭოთა ნორმებში და გამოთვლილია ზესტაფონის პირობებისთვის. სახურავის ფილისა და გრუნტზე განლაგებული იატაკის თერმული წინაღობის კოეფიციენტები შესაბამისად გამოთვლილი იყო შემდეგნაირად: $R_{\text{სახურავი}} = 0.718 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$; $R_{\text{იატაკი}} = 3.33 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$.

მეორე ვერსიაში, რომელიც ითვალისწინებს პროექტირების შედეგად საავადმყოფოს შემადგენელი კონსტრუქციის თბოდაცვითი დონის გაზრდილ ენერგოეფექტურობას, აღებულია პერლიტის ბლოკი ზომით: 390X190X190 მმ, ხოლო მისი თბოგამტარობის კოეფიციენტი განსაზღვრულია როგორც: $\lambda = 0.148 \text{ ვ/მ}^{\circ}\text{C}$. შესაბამისად, გარე კედლების თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა: $R_{\text{კედლები}} = 1.48 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$ და სახურავისა და იატაკის როგორც: $R_{\text{სახურავი}} = 2.83 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$; $R_{\text{იატაკი}} = 3.81 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვ}$ შესაბამისად.


ენერგოპასპორტის გამოთვლების შედეგები მოცემულია თბური ბალანსის კომპონენტების დიაგრამების სახით, სიმბოლოების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია დიაგრამის მარჯვნივ მდებარე ცხრილებში. (ნახ. 6.1, ნახ. 6.2).

სიმბოლოები - $Q_{H'}$ – აღნიშნავს მთლიან ენერგომოხმარებას, Q_t – თბოდანაკარგებს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციიდან თბოგადაცემის შედეგად, Q_v – თბოდანაკარგებს ინფილტრაციის შედეგად, Q_s და Q_i მზის რადიაციითა და შენობის შიდა სითბოს გამოყოფის შედეგად მიღებულ სითბოს.



Q_h^y, MJ	670715
Q_t	670666
Q_v	128565
Q_s	-105127
Q_i	-121708

ნახატი 6.1 ენერგოპასპორტით გამოთვლილი თბური ბალანსის კომპონენტები ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობის შემზღუდავი კონსტრუქციისთვის მძიმე ბეტონის ბლოკებით (ვერსია 1 - საბაზო).








Q_h^y, MJ	311529
Q_t	334979
Q_v	128565
Q_s	-105127
Q_i	-121708






ნახატი 6.2 ენერგოპასპორტით გამოთვლილი თბური ბალანსის კომპონენტები ზესტაფონის საავადმყოფოს ტიპური შენობის შემზღუდავი კონსტრუქციისთვის გაზრდილი თბოდაცვითი დონით პერლიტის ბლოკების გამოყენების შემთხვევაში (ვერსია 2).

6.2 ენერგომოხმარების გამოთვლა ენერგოპასპორტის შედეგებზე დაყრდნობით

